



## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 36 12

### განკარგულება

04/02/2020

**„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს შექმნის, შემადგენლობის, პოლიტიკური პლატფორმისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 13 დეკემბრის №36 163**

**განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დადებითი დასკვნის შესაბამისად:

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს შექმნის, შემადგენლობის, პოლიტიკური პლატფორმისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 13 დეკემბრის №36 163 განკარგულების პირველი პუნქტით შექმნილი ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს შემადგენლობა 2020 წლის 4 თებერვლიდან შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:  
„თავმჯდომარე –გიორგი დოლიძე, მოადგილე - შალვა ხარაბაძე, წევრები – დავით ბანძელაძე, დავით თუთბერიძე“
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს იურიდიულ საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრამის ქ. №11).

პაატა ახალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



